

მოსწავლეებში ინტერკულტურული მგრძნობელობის ამაღლება
ქართულის, როგორც მეორე ენის გაკვეთილზე

ქეთევან კორაშვილი, ლევან სარაჯიშვილი, ზაზა სუყაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება (სკოლის ადმინისტრირება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. ეკატერინე შავერდაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ქეთევან კორაშვილი / ----- / 23.06.2016

ლევან სარაჯიშვილი / ----- / 23.06.2016

ზაზა სუყაშვილი / ----- / 23.06.2016

სარჩევი

სარჩევი.....	iii
ცხრილების ჩამონათვალი	iv
გრაფიკების ჩამონათვალი.....	v
აბსტრაქტი.....	6
შესავალი	8
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა	13
1.1. კულტურის დეფინიცია და ფუნქციები	13
1.2. თამაშის არსი და როლური თამაშები	20
1.3. როლური თამაშები და ინტერკულტურული სწავლება.....	23
1.4. ინტერკულტურული მგრძნობელობა, როგორც საკვლევი საკითხი.....	25
1.4.1. პრაქტიკის კვლევის არსი და საკვლევი საკითხი.....	26
1.4.2. კვლევის მიმდინარეობა.....	28
თავი II. ინტერკულტურული მგრძნობელობის მაჩვენებლის განსაზღვრა (კვლევის მიზანი და ამოცანები)	30
2.1. ინტერკულტურული განათლების როლი მსოფლიოსა და საქართველოში (საკვლევი საკითხის აქტუალობა)	30
თავი III. მულტიეთნიკურ გარემოში მოსწავლეების ტოლერანტობის დონის განსაზღვრა (კვლევის მეთოდოლოგია)	32
3.1. ინტერკულტურული მგრძნობელობის განსაზღვრა.....	37
3.1.1. კულტურული იდენტობის ფორმირების თორმეტი წყარო	37
3.1.2. ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების მოდელი.....	38
3.2. ქართულის, როგორც მეორე ენის დ4 სახელმძღვანელოს ანალიზი.....	40
თავი IV. პრაქტიკის კვლევის პროცესი	42
4.1. კვლევის პირველადი შედეგების ანალიზი.....	42
4.2. ინტერვენციები.....	47

4.3. კვლევის საბოლოო შედეგების ანალიზი.....	51
4.4. კვლევის შეზღუდვები.....	53
კვლევის შედეგები.....	55
კვლევის მიგნებები.....	56
დასკვნა და რეკომენდაციები	58
გამოყენებული ლიტერატურა.....	61
დანართები	65
დანართი №1 - პრე-ტესტი მოსწავლეებისათვის	65
დანართი №2 - პრე-ტესტის შედეგები საექსპერიმენტო ჯგუფში	67
დანართი №3 - პრე-ტესტის შედეგები საკონტროლო ჯგუფში.....	67
დანართი №4 - პოსტ-ტესტი მოსწავლეებისათვის	71
დანართი №5 - პოსტ-ტესტის შედეგები საექსპერიმენტო ჯგუფში.....	73
დანართი №6 - პოსტ-ტესტის შედეგები საკონტროლო ჯგუფში.....	75
დანართი №7 - კულტურული იდენტობის ფორმირების თორმეტი წყარო (კუშნერი, მაკლილანდი, საფორდი, 2006)	77
დანართი №8 - კუშნერის, მაკლილანდისა და საფორდის კულტურული იდენტობის ფორმირების მოდელიდან შერჩეული ხუთი წყარო.....	78
დანართი №9 - საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების ფორმა*	79
დანართი №10 - სავარჯიშო - კონტაქტი	80
დანართი №11 - მუნჯი ფილმის გახმოვანება	81
დანართი №12 - ერთ-ერთი ჯგუფის მიერ გახმოვანებული მუნჯის ფილმის სცენარი..	82
დანართი №13 - სავარჯიშო: პირამიდა	83

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი №1: ეთნოცენტრული ფაზა	38
ცხრილი №2: ეთნორელატიური ფაზა	39

გრაფიკების ჩამონათვალი

დიაგრამა №1 - მოსწავლეთა რასობრივი მგრძნობელობა	42
დიაგრამა №2 - ეთნიკური განსხვავებულობისადმი მგრძნობელობა	43
დიაგრამა №3 - განსხვავებული ენისადმი მგრძნობელობა	44
დიაგრამა №4 - გენდერის მიმართ მგრძნობელობა	44
დიაგრამა №5 - განსხვავებული ფიზიკური მდგომარეობისადმი მგრძნობელობა	45
დიაგრამა №6 - საექსპერიმენტო ჯგუფში მოსწავლეთა ინტერკულტურული მგრძნობე- ლობის საშუალო მაჩვენებელი ხუთივე წყაროს მიხედვით	46
დიაგრამა №7 - საკონტროლო ჯგუფში მოსწავლეთა ინტერკულტურული მგრძნობე- ლობის საშუალო მაჩვენებელი ხუთივე წყაროს მიხედვით	47
დიაგრამა №8 - პოსტ-ტესტი შედეგები საექსპერიმენტო ჯგუფში	52
დიაგრამა №9 - პოსტ-ტესტის შედეგები საკონტროლო ჯგუფში	53

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ბენეტის მოდელის მიხედვით იკვლევს მოსწავლეებში ინტერკულტურული მგრძნობელობის მაჩვენებელს დაწყებითი საფეხურის მე-5 კლასში, და კერძოდ, თუ როგორ იცვლება როლური თამაშების დახმარებით მოსწავლეებში მიმღებლობის განცდა ქართულის, როგორც მეორე ენის გაკვეთილზე.

ნაშრომი ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი მოიცავს საკვლევი საკითხის დიაგნოსტიკას, რომელიც აერთიანებს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვასა და მეთოდოლოგიას. მეორე ნაწილში ერთიანდება პრაქტიკული კვლევის პროცესი, რომელიც მოიცავს: პრე-ტესტს მოსწავლეებში ინტერკულტურული მგრძნობელობის დასადგენად; ინტერვენციას მოსწავლეებში ინტერკულტურული მგრძნობელობის ასამაღლებლად და პოსტ-ტესტს მოსწავლეებში ინტერკულტურული მგრძნობელობის ხელმეორედ დასადგენად. პრაქტიკული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები შეჯამებულია დასკვნაში და მიგნებებში, რის მიხედვითაც შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები. საკვლევი საკითხის ირგვლივ აქამდე ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით დანართში წარმოდგენილია ის ინსტრუმენტები და მოდელები, რომელთა დახმარებითაც მოხდა რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება და მათი ანალიზი.

საკვლევი საკითხის ირგვლივ 2015 წელს ინტერკულტურული განვითარების კვლევის ასოციაციამ (IDRA) კომპანია „კოკა-კოლას“ მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „One World“. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მსოფლიოს 26 ქვეყნის მოზარდებში სპორტული და როლური თამაშების დახმარებითა და პროექტული სწავლებით ინტერკულტურული მგრძნობელობის ამაღლება. აღნიშნული პროექტის ანგარიშზე დაყრდნობით, როლური თამაში წარმოადგენს იმ გასაღებს,

რომელიც მოზარდებში ემპათიის გრძნობის გაღვივებასა და კულტურათა შორის დიალოგს უწყობს ხელს. წინამდებარე კვლევაში კი მოსწავლეთა ინტერკულტური მგრძნობელობის გაზრდა სწორედ როლური თამაშების მეშვეობით მოხდა.